საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია · № 189 · ხუთშაბათი, მარტის 8 (21) 1918 წ. · № 189

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

რადიოს სადგურის უქონლობის გამო ტრაპიზონში, არავითარი ცნობები არ მოდის სამშვიდობო კონფერენციის შესახებ.—ქუთაისის საგუბერნიო კომისარს ლეჩხუმის შესახებ განკარგულებების გამო ინტერპარტიულმა კომისიამ უნდობლობა გამოუცხადა.—ოსმალებმა ხელიში აიღეს.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ეკატერინე სტეფანის ასული მჭედლიშვილისა, ძმები; კონსტანტინე და ნიკოლოზი, დები—მარიამი თამარა მჭედლიშვილები და ნინო იოსების ასული იმედაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა

## ვანო (ივანე) იოსების ძე მჭედლიშვილი.

დასაფლავება მოხდება კვირას, 11 მარტს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, წირვის გადახდა მოხდება წმინდა მარინეს ეკლესიაში. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, თავის სახლში, თელავის ქუჩა, სახლი № 47.

## პური

ყველა უბანში, სადაც კი სასახლო კომიტეტები ჯერ არ აურჩევიათ, მოსახლეობისათვის გაიხსნება ცალკე პუნქტები პურის სავაჭროდ.

ამ პუნქტებიდან პური მიეცემათ ცალკე პირებს მხოლოდ 15 მარტამდე.

აუცილებლივ საჭიროა, რომ ამ დროისთვის ყველგან დასრულებული იყოს სასახლო კომიტეტების არჩევნები.

1095 ქალაქის გამგეობის სასურსათო ნაწილი.

## ღვინის ვაჭართა კავშირის გამგეობა

აუწყებს ტფილისის ყველა ღვინის ვაჭარს, რომ თანახმად ტფილისის სასურსათო გამგეობის დადგენილებისა, ამა წლის პირველ მარტიდან ქალაქის სასარგებლოდ დაწესებულია საგანგებო გადასახადი ხუთი შაური ბოთლზე, რომელიც პერიოდულად უნდა იქმნას შეტანილი ქალაქის სალაროში.

285 გამგეობის თავმჯდომარე ნ. მარქაროვი.

## გამოვიდა ჟურნალ „პრომეთეს"

მე-2 ნომერი, შემდეგი შინაარსით:

ვაჟა ფშაველა—წუნების გლოვა, გ. ბარნოვი—ამქრის მშვენება, ა. ქუმბაძე—ნაგვიანევი ყვავილი, ა. პაპავა—სოლეილდორ, კ. გამსახურდია—ქორწილი, მიზანტროპი, ა. ჭიჭინაძე—იო; ძველი მწერლობა: ქართველ მეფეთა და დიდებულთა ბრძნ. ზედწარწერანი, აფორიზმები ქილილა და დამანადან, ს. გორგაძე—ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა, პ. ინგოროყვა—„კავკასიის" ქვეყნების ტერიტ. გამიჯვნის გამო, რენე მეველი—ფრანგული აზროვნება და ომი, ტერ გრიგორიანცი—მშაკი და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა.

ჟურნალზე ხელის მოწერა შეიძლება „სახ. საქმის" კანტორაში, იქვე იყიდება ნომრები, აგრეთვე ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების და კიკნაძის წიგნის მაღაზიაში. 1090

## საქართველოს სოც.-ფედ. ს. პარტიის მთავარ კომიტეტისაგან

ამა წლის 11 მარტს დილის 12 საათზე ქუთაისში მოხდება სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ.- პარტიის

## ფედერალურ საბჭოს კრება

განსახილველი საგნები:

1. მომენტი და სამშობლოს დაცვა.
2. მიმდინარე საკითხები.

შემადგენლობა:

წარმომადგენლები მთავარი კომიტეტისა.

ორ-ორი წარმომადგენელი საგუბერნიო და საოლქო კომიტეტისა ტფილისისა, ქუთაისისა, ბათომისა და სოხუმის.

ორ-ორი წარმომადგენელი საქალაქო კომიტეტებისა: ტფილისის, ქუთაისის, ბათომის, ფოთის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, სამტრედიის, ხონის, ზესტაფონის, ჭიათურის, ცაგერ-ლაილაშის, ხარაგოულის, ხაშურ-სურამის, ბორჯომის, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, ახალციხის, თიანეთის, ბაქოსი და ლანჩხუთის, ონის.

თითო წარმომადგენელი ტფილისის და ქუთაისის სამხედრო ორგანიზაციების.

კომიტეტებისაგან საჭიროა მანდატები წარმომადგენლებისათვის განსაკუთრებული მოწვევის ბარათები არ დაიგზავნება.

## საქარ. სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბათომის საოლქო კომიტეტი

აუწყებს ბათომის ოლქის და ოზურგეთის პარტიულ ორგანიზაციებს

რომ მდგომარე წლის 10 მარტს საღამოს 8 საათზე ბათომის პარტიულ კლუბში დაიწყება ხსენებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების წლიური კრება განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. საოლქო კომიტეტის მოქმედება გასული წლის განმავლობაში და მოხსენებები ადგილებიდან.
2. მომენტი და ტაქტიკა.
3. ხარჯთ-აღრიცხვა მდგომარე წლის.
4. ორგანიზაციული მუშაობა.
5. საოლქო კომიტეტის არჩევა.
6. სარევიზიო კომისიის არჩევა.

და 7. მიმდინარე კითხვები.

რაიონულ ორგანიზაციების კომიტეტებს ვსთხოვთ გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ყოველ 100 კაცზე ერთი. წარმომადგენლები უნდა მოვიდნენ საღამოს, ქუთაისის მატარებლით. ნატანებში მათ დახვდებიან ქალაქში შემოსასვლელ ნებართვას.

ბათომის საოლქო კომიტეტი.



## დიდი ცირკი

## ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლოს, საკუთ. ახლად შექეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—09.

დღეს, 6 მარტს, გაიმართება

## საზეიმო დღესასწაული

არტისტებისა, ბენეფისი

მთელი დასის. მრავალი ახალი სანახაობა იქნება კაფეშანტანი. მონაწილეობს მთელი დასი. ჭიდაობს 3 წყვილი: 1. რააგო და მედელაური, 2. ურს-იარჩაკი და დობრინინი, 3 ჯოე მორა და ხერბერკ როლანდი.

დასაწყისი 8 ს. დასასრულ. 11 ს. 286

## იყიდება

### სტამბის ორი მანქანა დიდი ზომის,

თავის ელექტრომატორებით ორი მასტონკა, ერთი ქაღალდის საჭრელი მანქანა დიდი ზომის, კასები და სხვა და სხვა რუსულ-ქართული შრიფტი ყოველნაირ სასტამბო მოწყობილებით. პირობების გაგება შეიძლება „სახალხო საქმის" სტამბაში ბარონის ქუჩა № 14. 1089

**იყიდება** სახლის ნივთები: რბილი დივანი და ორი ისეთივე სავარძელი, ორი საწერი მაგიდა, წიგნების შკაფი, ტანისამოსის შკაფი, გრამოფონი ფირფიტებით და ტუმბით და ორი სარკე; წიგნების საწყობი, სურათები, ზოგიერთი მოწყობილობა ელექტრონის განათებისა, ბავშვის ვანა, კროკეტი, ხილის ლამბაქები და მასაჟის მანქანა.

ანდრეევის ქ. № 40 ბინა 4 მე-3 სართული. ნახვა შეიძლება 10-4 ს. 283

**დაიკარგა** სტუდენტის მოწმობის წიგნაკი, (მატრიკული) თოფის ტარების ნებართვა და კერძო წერილები. მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ, კეთილი ინებოს და ეს მისთვის გამოუსადეგი ნივთები როგორმე მომაწოდოს ან „სახალხო საქმის" რედაქციაში, ან ქართულ უნივერსიტეტში და ან ქართულ მეორე საარტილერიო ბრიგადაში.

ს. ფაშალიშვილი.

## უმაღლეს სწავლა დამთავრებული

წავალ სოფლის მასწავლებლად (სასურველია არაგვის ხეობა) დაწვრილებით პირობები და მისამართი „სახ. საქმის" კანტორაში. 1098

## საჩქაროდ იყიდება

ხინა (ქინაქინა) 3 კილო დაბეჭდილი ინგლისელი ფირმისა. მელის გაწმენდილი ტყავები კარგი ხარისხისა, ლუ-რსმანი 1 ფუთი 3 ფერშოკიანი და სხვა ნივთები. ყაზბეგის ქუჩა № 9, სადგ. 4. 1-ლ უბანში. 272

**ტფილისი, 8 მარტი 1918 წ.**

**ბრძოლა სეიმში.** გუშინდელს ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ვრცელს ანგარიშს სეიმის 5 მარტის კრებისას განსაკუთრებული გულისყურით წაიკითხავდა მკითხველი საზოგადოება. ეს კრება ისტორიულ კრებად უნდა ჩაითვალოს ...ოლი სეიმის, ამიერკავკასიის ერების ცხოვრებაში.

რა მოხდა ამ კრებაზე ახალი?—რასაკვირველია არაფერი, განმეორდა მხოლოდ ძველი ამბავი, ლაპარაკობდნენ მხოლოდ ძველი ორატორები, ლაპარაკობდნენ მეტად მოურიდებლად, მეტად გულუბრყვილოდ, მრაზდებოდნენ იქ, სადაც სიდინჯე იყო საჭირო, ცხარობდნენ სადაც დამცხრალ გრძნობით და ცივ გონების თვალით არის ფიქრი და მუშაობა საჭირო.

ბრძოლის და კორიანტელის ალი დაანთო დეპუტატმა ლომთათიძემ, ცხარე კამათმა ვერაფერი გაარიგა ინტერესების გამორკვევაში, ვერც ისიდორე რამიშვილმა, ვერც ირაკლი წერეთელმა, ვერც კანტემიროვმა და გობეჩია-ყსუბეკოვმა ვერ განსჭვრიტეს მდგომარეობის მიზეზი და შეხლა-შემოხლას მოჰყვა უსიამოვნება, გრძნობათა მხილება, მანტიათა აგლეჯა, მაგრამ გადაწყვეტით კი ვერაფერი გადაწყდა.

არსენიძის წინადადებით სეიმი გადავიდა მორიგ საკითხების განხილვაზე, მაგრამ თუ ასე დასრულდება სეიმში ატეხილი ბრძოლა რაღა საჭირო იყო მისი დაწყება? იგივე დეპუტატები კვლავ დარჩნენ საერთო მუშაობისათვის, მაგრამ მათ შორის აზრთა სხვაობა, უკეთ, უსიამოვნო გრძნობა, ინტერესთა წინააღმდეგობა—ისევ ძველებურად დარჩა, მხოლოდ უფრო გამწვავებულად. რასაკვირველია ჩვენ არაფერს ვამბობთ იმ განსხვავებაზე, რომელიც ყოველთვის არსებობს კლასებს და წოდებათა შორის, მაგრამ როდესაც მთელი მაჰმადიანობა სეიმისა სხვაგვარად ფიქრობს, ვიდრე ქართველი მენშევიკები, როდესაც ამ ორ ეროვნულ ძალებს შორის საერთო ლოღიკა, საერთო ენა, საერთო ხაზი ვერ გამოუნახავსთ და სულ ელემენტარული ჭეშმარიტება ერთისათვის თავსატეხ ამოცანას წარმოადგენს მეორე მხარისათვის—ნუ თუ ეს დიდი კარდინალური წინააღმდეგობა მოუგვარებლად უნდა დარჩეს და ყოველ დღე თავი იჩინოს ყოველ დიდსა და მწვავე საკითხების განხილვა გადაწყვეტის დროს? ის, რაც 5 მარტს მოხდა სეიმში ერთი ეპიზოდია ყოველდღიურ ცხოვრებისა, სწორედ ის მიზეზია, რომლითაც საგონებელშია ჩავარდნილი ვევეჭკორის კაბინეთი, სწორედ ის წინააღმდეგობაა, რომელთაც ძველებურად დატოვება ჩვენს აშკარა სიკვდილს იწვევს.

გვეყოფა ამდენი დიპლომატია, ამდენი თვალთმაქცობა, თავისი თავის მოტყუილება. უნდა შევისწავლოთ შინაარსი წინააღმდეგობათა და იმის მიხედვით ვიმოქმედოთ. ქართველი მენშევიკები ვერ ამჩნევენ ამ წინააღმდეგობის მოსპობას, ისინი ვითომდა ძმობის და უზენაეს ინტერნაციონალურ გრძნობებით არიან გამსჭვალულნი, მაგრამ ნუ თუ ვერც ერთმა მაჰმადიანმა ვერ შეიგნო ეს ძმობა, უმაღლესი სიყვარული და ხელი არ მისცა ლომთათიძეს? ჩვენ უმთავრესად ის გვაკვირვებს, რომ ერთობის ხმაზე ასე ხშირად მოლაღადებელი მენშევიკთა პარტიის წარმომადგენლები იმდენ გამჭრიახობასაც ვერ იჩენენ, რომ ის საერთო და დამაკავშირებელი, რაც უეჭველია არსებობს საქართველოს და ადერბეიჯანს შორის, რაიცა შემარიგებელ გავლენას მოახდენს ქართველ მაჰმადიან ძალებზე—აღნუსხონ და გამოუქონ. ძალიან დამახასიათებელია, რომ მენშევიკთა ორატორები ერთობასა და მთლიანობაზე ლაპარაკის მაგიერ ... განცალკევებასა და გაყოფას ემსახურებიან, ვსთქვათ გულახდილად, 5 მარტის ცხარე ლაპარაკის შემდეგ შეერთების გრძნობა მეტი დარჩა თუ გაყოფის? სიამოვნება თუ უსიამოვნება? აშკარაა, მეტი განსხვავება—უსიამოვნება დარჩა „ბრძნულ" ლაპარაკის შემდეგ, ვიდრე სიამოვნება, აშკარაა, ყველაფერი რაც ითქვა ვერ თქმულა სასარგებლოდ, დადებით ნაყოფის ნაცვლად უარყოფითი შედეგი მივიღეთ და თუ ამ გზას გავყევით ბოლომდე ცუდ ნაყოფს მივიღებთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ 5 მარტის ბრძოლა ან აღარ უნდა განმეორდეს, თუ უეჭველად გვინდა ინტერესები არ გავმიჯნოთ, ან და მოხდეს განმეორდეს, მაგრამ გადავჭრათ. ვიდრე ამ უკანასკნელ საქმეს გავაკეთებდეთ პირველ ყოვლისა მენშევიკებს ევალებათ საერთო ხაზის ძიებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და ადერბეიჯანის ხალხს უთხრათ, რაც მათაც იციან, მაგრამ ორივე მხარე ივიწყებს ყოველთვის, რომ ადერბეიჯანისათვის საქართველო განვითარების აუცილებელი პირობაა და საქართველოს ინტერესებს ადერბეიჯანის მაჰმადიანებმა განსაკუთრებული სიმპატიით მოეპყრან. ძმობა-ერთობისათვის დღეს ეს ძლიერ საჭიროა.

## ორი გზა.

ქართველ ერს საშინელი უბედურება კარს მოადგა. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან იმ თავითვე ქართველ ერის პოლიტიკა ყალბ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. ყოფნა არ ყოფნის საკითხი ჩვენს წინ მთელ თავის საშიშროებით წამოჭრილი გვავალებს ვიქონიოთ გამბედაობა და საქვეყნოდ ვაღიაროთ წარსულში ჩადენილი შეცდომები. წარსულ შეცდომის შეგნება ზნეობრივ განსჯა-ტაკების საკითხი კი არაა, არამედ ერთად ერთი საშუალება მომავალში სწორი გზით სიარულის.

რად დაატყდა ქართველ ერს ასეთი საშინელი უბედურება, რომელიც შეიძლება მთელი ერის განადგურებით გათავდეს თუ რაიმე შემთხვევამ ე. ი. ჩვენს გარეშე მდგომ ძალთა და ინტერესთა დაპირდაპირებამ არ შექმნას ერთგვარი გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან? მიზეზი იმაშია რომ ქართველი ერი გაჰყვა ეროვნულ პოლიტიკის უარყოფის გზას იმ თავითვე, და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ამ უარყოფამ დღეს ხორცი შეისხა და

საშინელი ნაყოფი გამოიღო. საკვირველი ის იქნებოდა სწორედ, რომ ქართველ ერის მიერ არჩეულ გზას ასეთი შედეგი არ მოჰყოლოდა და სწორედ ასეთი საკვირველი შემთხვევა იქნება გადარჩენა ქართველ ერისა, თუ მომავალმა ასეთი შესაძლებლობა მოგვივლინა.

დიდიდან რევოლიუციისა ქართველ ერის წინ ორი გზა გადაიშალა: გზა ეროვნულ პოლიტიკისა, ეროვნულ შემოქმედებისა და გზა ეროვნულ პოლიტიკის უარყოფისა და ყალბად გაგებულ ინტერნაციონალისა. უკვე რევოლიუციის წიაღში ჩაისახა ერთი დიდი ძალა, რომელიც რევოლიუციის განვითარებას ძალიან ხშირად მიმართულებას აძლევდა. ეს იყო ეროვნული იდეა, ეროვნული ძალა. სხვა და სხვა ერებით დასახლებულ რუსეთში ამ ძალას არ შეეძლო დიდი როლი არ ეთამაშა რუსეთის რევოლიუციის განვითარებაში. ბევრმა შეამჩნია ეს ძალა, სათანადო ანგარიში გაუწია მას და დღეს გამარჯვებული დარჩა. ვერ შეამჩნია იგი ქართველმა ერმა, არ გაუწია მას ანგარიში და დამარცხების და-განადგურების კარს მიადგა.

საჭიროა ეროვნულ ერთეულების ჩამოყალიბება, მათი გამაგრება და ამ გზით რევოლიუციის მოპოვებათა უზრუნველყოფა—ეუბნებოდნენ ქართველ ერს ერთის მხრით და ეროვნულ პოლიტიკის გზაზე მიუთითებდნენ.

არ შეცდეთ და ეროვნულ პოლიტიკის გზას არ გაჰყვეთ,—ჩასძახოდნენ მეორე მხრით ქართველ ერს ეს გზა მთელ ერს არაფერს მისცემს და ხელსაყრელია მხოლოდ გაბატონებულ კლასისათვის. საჭიროა რუსეთის დემოკრატიასთან ხელჩაკიდებული საერთო ცენტრის გამაგრება.

ქართველმა ერმა ყური არ ათხოვა პირველ ძახილს და უარჰყო ეროვნული განვითარების გზა. მან შეითვისა და საოწმუნოებად გაიხადა მეორე რჩევა: ხელი გაუწოდა რუსეთის დემოკრატიას და ცენტრის გამაგრებას შეალია მთელი თავისი ღონე.

ამაო იყო ქართველ დემოკრატიის შეგნებულ ნაწილის ცდა [illegible] ერი აუცილებელ განსაცდელს [illegible] სწორ გზაზე დაეყენებინა. გაბატონებულ პოლიტიკამ მთავრობის სახე მიიღო; არც ერთს მთავრობას დედამიწაზე არ უყვარს კრიტიკა და ოპოზიცია და მან ჩვენშიაც ძალადობას მიმართა: დაიწყო ხმა დარბევა და აწიოკებისა ერისათვის გულშემატკივარ მიმართულების ორგანიზაციებისა.

ამ დროს მოსკოვსა და პეტროგრადში ქართველი ერის საუკეთესო შვილები რუსეთის ერთგულებაზე ეფიცებოდნენ, კვლავ აწვდიდნენ ხელს რუსეთის დემოკრატიას და მთლიანობისკენ მოუწოდებდნენ. ერთხელ არჩეულს გზას ერთგულად მიჰყვებოდა ქართველი ერი. არ გადაუხვევია მან ამ გზას მაშინაც კი, როდესაც რუსეთის დემოკრატიამ გაწვდილი ხელი ჰაერში ჩამოკიდებული დაუტოვა და სანეტარო ცენტრმა ქართველ ერის საარსებო ინტერესები აბუჩად აიგდო. გაკოტრდა რუსეთის დემოკრატია, გამყიდველი შექნა ცენტრი, განაცამტვერდა იდეა მთლიანობისა.

როგორ შეხვდა ქართველი ერი ამ მომენტს რა თქმა უნდა, ის საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მდგომარეობა გართულდა როდესაც გარეშე მტრის შემოსევის აჩრდილი წამოიჭრა.

რა საჭიროა დღეს ქართველ ერს, არსებობის შესანარჩუნებლად! მას საჭიროა ორი რამ: ეროვნული შეგნება და რეალური ძალა. აქვს ქართველებს ან ერთი ან მეორე? მთელი უბედურება სწორედ იმაშია, რომ ქართველ ერს ამ განკითხვის ჟამს არ გააჩნია არც ერთი, არც მეორე. მთელი თაობის განმავლობაში ჩვენში გაბატონებული მიმართულება ყოველ ღონეს ხმარობდა რომ ხელი შეეშალა ეროვნულ შეგნების გაღვიძება განვითარებისათვის და განა საკვირველია, რომ დღეს, როდესაც ეს შეგნება უნდა გამხდარიყო მამოძრავებელ ძალად ჩვენი ეროვნულ განმტკიცებისა, ნაცვლად ეროვნულ სულისა ხელთ შეგვრჩა უენერგიო და უმოძრაო ჩონჩხი. ეს არის პირველი საშინელი შედეგი ეროვნულ მესაფლავეთა მოღვაწეობისა საქართველოში.

ქართველ ერს არ აღმოაჩნდა საჭიროების დროს არც რეალი ძალა. ეროვნულ ტრაგედიად უნდა ჩაითვალოს ის უსაკვირველესი მოვლენა, რომ ქართველმა ერმა 200,000 მეომარი სამსხვერპლოდ გამზადებული მიიტანა მითიურ მამულის დაცვის კოცონზე და როდესაც საფრთხე მის საკუთარ მამულს სიკვდილის აჩრდილად მოევლინა, არ სჩანან მამულის დამცველნი და ამაოდ გაისმის შეგნებულთა გამწვევი ნაღარა. ქართველმა ერმა სამაგალითო ნიჭი გამოიჩინა სხვის დაცვაში, ის სამაგალითო უნიჭობას იჩენს თავის დაცვაში. ვის ბრალია ეს? ამის გამო პასუხი უნდა აგონ მომავალ თაობის წინაშე მათ, ვინაც გაჰყვა ქართველი ერი, [illegible] მყოფი გზა უჩვენა.

როდესაც ეროვნულ ჯარებზე შეიქნა ლაპარაკი, როდესაც ერთი ნაწილი ქართველ ერისა ეროვნულ ძალის შექმნისკენ მოუწოდებდა, გაბატონებულმა პოლიტიკამ ამაში რევოლიუციის ღალატი დაინახა და მას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. ქართველი ერი არ ჩაერია ამ ბრძოლაში, მან არ დაუჭირა მხარი საკუთარ ძალის შექმნას, ის არ ითვალისწინებდა ეროვნულ საფრთხეს, რადგან ის არ გრძნობდა თავის ეროვნებას. ჩვენი ჯარის კაცები ჩარჩენ რუსულ ყაზარმებში და რუსის ჯარის ზნეობრივ და პოლიტიკურ გაკოტრების მონაწილე გახდენ. ამან შექმნა ტრაგი-კომიკური მდგომარეობა: ვინც სამშობლოს სადარაჯოზე უნდა იდგეს დღეს ის სოფლად და ქალაქად ავაზაკობაში ატარებს დროს. როდესაც მეორე მხრივ რუსეთიდან ამბები მოდის ქართულ ნაწილების სამშობლოსკენ გამომგზავრებაზე—ეს, თითქმის არავითარ აღფრთოვანებას არ იწვევს და ეს ხდება სამშობლოს განსაცდელის დროს.

ასეთია მდგომარეობა. იმ თავითვე ქართველი ერი ეროვნულ გზას ააცდინეს ჩვენი ცხოვრების მესვეურებმა და ნურვის გაუკვირდება თუ დღეს ბედი არ გვღიმება. ქართველ ერის წინ ერთხელ კიდევ იჭრება საკითხი: სურს თუ არა მას მომავალშიდაც გაჰყვეს იმ გზას რომლითაც იგი დღემდე მიყავდათ.

შ. ნუცუბიძე.

# იდუმალი დიალოგი

ზღვის ზედაპირის საშინელის ქარიშხალის წინ სიწყნარე და ჩაფიქრებული მდუმარება ახასიათებს, თითქოს იგი ჩუმად აგროვებს ენერგიას, ტალღებს თვის სიღრმეში რაზმავს, რომ მათი მრისხანება მაღლა კლდეს ეხეთქოს, ასეთია დღეს ქართველი ერიც...

საშინელის განსაცდელის და უმაგალითო კატასტროფის წინ ერი სდუმს, მაგრამ ეს დუმილი არ არის მორჩილების და კმაყოფილების ნიშანი, მის წიაღში გროვდება ბუნებრივი რეაქციის ძალები, სტიქიურად იზრდება წინააღმდეგობისა და აღგზნების ძალა. ყოველი იდუმალ განიცდის, რომ ახლოვდება განკითხვის წუთი, და თითქოს მისი ინსტინქტი პასუხს დაეძებს და ეს პასუხი ერთია—კეთილშობილი აღშფოთება, ვეფხისებრ შებმა ბრძოლაში. ნაკლებად სჩანს თეატრალობა გარეგნული ჟესტი, მაგრამ ტრაგედია აშკარად მწიფდება, ყოველი ოდნავ შეგნებული მამულიშვილი გრძნობს ამ საშინელი წუთების მოახლოებას, როცა მას პირდაპირ მოსთხოვენ იარაღით დაიცვას სამშობლოს პატივი და თავისუფლება.

[illegible] მასშტაბით არა სჩანს ჯერ კიდევ ეს ბუნებითი რეაქცია, იგი მალე გამოჩნდება, საკმარისია დადგეს ეს განკითხვის დღე, რომ ხალხმა სადღვთო ომი გამოაცხადოს. ჩვენ ამ იმედით ვსულდგმულობთ, და მხოლოდ ასეთი ერი თუ იქნება სახელოვან სამშობლოს ღირსეული შვილი და თავისუფლების მემკვიდრე.

მაგრამ ტკივილებმა განსაკუთრებით იჩინეს თავი ჩვენი ერის უფრო შეგნებულ და უფრო სათუთ ნაწილში: მოწინავე, მშრომელ ინტელიგენციაში. ეს იყო ის სიმი, რომელიც ყველაზე ადრე და მძლავრად ათრთოლდა; მის სიღრმეს ჩასწვდა ტანჯულ სამშობლოს ძახილი და მან უშეშველოდ გამოხატა ეს ტკივილი... მან დასტოვა ჩვეული საქმეები და იარაღს დაავლო ხელი, იგი სცდილა სიტყვით და საქმით მაგალითი გარდაშალოს ერისათვის თავგანწირვისა და თუ მას დღემდე სიტყვის გმირს ეტყოდნენ უვიცნი, დღეიდან ისინი დაინახავენ მის საქმით გმირობას.

მაგრამ ერთი რამ ახასიათებს დღეის ინტელიგენციას ჩვენში, თუ, საზოგადოდ, მას სჩვევია მოწინავე რაზმში სვლა და თავდავიწყებითი ამ სიტყვის პირდაპირის მნიშვნელობით—განწირულება, ექსტაზით შეპყრობა და უანგაროდ განწირვა, დაუფიქრებლობა და ნახევრად პოეტური აღგზნება ბრძოლის წინ; დღეს სულ სხვას ვხედავთ: ჩვენი ახალგაზრდობა შექმნილ ვითარების გარკვევას, განსაკუთრებით მის მიზეზების შესწავლას და ჩაკვირვებას შეუდგა. აი რა ახასიათებს დღეს მებრძოლ ინტელიგენციას და თუმცა ყოველი ანალიზი ბრძოლის პროცესში ენერგიის დამცხრობი და აღგზნების გამნელებელია, მაგრამ დაფიქრებული შესწავლით ნელი ნაბიჯიც, უეჭველია, მტკიცედ გადიდგმის.

ეს ახალგაზრდობა დღესაც, როგორც ყოველთვის ორ ჯგუფად იყოფა, მაგრამ მათ შორის ერთსულოვნობა, მოვალეობის შეგნება და საერთო—საერთო ინტერესების შედუღება ისე მჭიდრო და ჰარმონიული არას დროს ყოფილა, როგორც ამ განწირულების ჟამს. ეს არის საბუთი ჩვენი ერის გამოფხიზლების, მის წინსვლისა...

და არ მგონია, როდისმე ამ ჯგუფთა ბრძოლის ისტორიაში ასეთი გულწრფელი გრძნობანი—შენანიებანი ყოფილიყოს, როგორც დღეს. მთელის სიძლიერით იჩინა თავი ამ ინტელიგენციის განცალკევებამ ჩვენი ერისაგან. მიზეზები ვიცით: პირველს ხალხი ფანატიკურად ახლოს არ უშვებდა, არ იღებდა. მეორეს ხალხი ბუნებრივ განვითარების გზით არ მიჰყავდა. და როცა ხალხის ძალა შეიქმნა საჭირო, როცა ხალხის სიტყვაზეა დღეს ჩვენი ერის მომავლის ბედი, ახალგაზრდობა შეშფოთდა: მან არ იცოდა დაეჭირა თუ არა განუმზადებელი ხალხი [illegible] -სა და ეროვნულ გამოცდას. და შენანიება, ვიმეორებ, არასოდეს არ ყოფილა ისეთი გულწრფელი და უშუალო, ვით დღეს. ამ ანალიზმა და წარსულის ობიექტიურმა შესწავლამ წამოაყენა იგი მთელის სიძლიერით. იდუმალ, უთქმელ ანალიზში, ჩუმ ხაზებში აშკარად მეტყველებს ორივე ჯგუფი: ერთი ბრალმდებელია, მეორე ბრალდებული. მაგრამ ორთავემ კარგად იციან მომენტის სიმწვავე და გასამართლებაზე ხელი აიღეს, იგი ისტორიას მიანდეს, ამ ყველაზე უფრო მიუდგომელ მსაჯულს. მაგრამ ვიმეორებ, ამ იდუმალებაში უაღრესი და ტრაგიული მეტყველებაა და მყვირალა ფრაზეოლოგიაში არას დროს ისე მკაფიოდ არ გამოსჭვიოდა ეს სიჩუმის საბედისწერო დიალოგი, რომელმაც დღეს, საბედნიეროდ, ჰარმონია ვერ დაარღვია. და ორივე ჯგუფი, იარაღის ქვეშ მდგომი, ამ ჩუმ ანალიზის დროს დინჯად აფასებს განვლილ გზებს, ძველ შეცდომებს. მომავლის საწინდარია იგი.

ყველას ესმის ეს ჩუმი დიალოგი და ვერც ჩვენ დავფარავთ მას:

— თქვენ არ იყავით, რომ სამშობლო წაართვით პროლეტარიატს და ყოველი ფასეულობა დაუკარგეთ მას?

— მართალია, იყო ეს.

— თქვენ არ იყავით—უარყოფდით ეროვნულ კულტურას, ეროვნულის გზით, თვითგანვითარების სვლის საჭიროებას?

— მართალია, ესეც იყო.

— თქვენ არ იყავით—ტერიტორია ბურჟუაზიის მიერ მოჩმახულ ატრიბუტად გამოაცხადეთ და მიწა-წყალს ერისათვის ყოველი მნიშვნელობა წაართვით?

— ესეც იყო, იყო...

— თქვენ არ იყავით უკიდურეს კოსმოპოლიტიზმის მქადაგებელნი: ქართველის, თათარის, რუსის, ესტონელის ინდივიდუალობა არიცანით არც საჭიროდ და არც სინამდვილედ?

— ვიყავით; ჩვენ ვიყავით.

— თქვენ არ იყავით—საქართველოს წარსულს აბუჩად იგდებდით, მამულიშვილობა შავრაზმელობის სახელით მონათლეთ და სამშობლოს სიყვარული ზედმეტ ბარგად გამოაცხადეთ? რომელი ერთი მოგითვალოთ?..

— მართალია, ჩვენ ეს ჩავიდინეთ...

ასეთია ეს იდუმალი დიალოგი და დღემდე „ბრალდებულის" სკამზე მსხდომი ამ განკითხვის ჟამს ბრალმდებლად გამოდის, მაგრამ მან იცის მოვალეობა სამშობლოს წინაშე და ამ გასამართლების დროს დღეს ვერ ხედავს. იგი ხედავს შენანიებას და თუმცა მას ანცვიფრებს ასეთი მეტამორფოზა, მაგრამ გული მისი კმაყოფილებით სავსეა და მას ერთხელ კიდევ შეუძლია დარწმუნდეს, რომ ერის ენერგიას და მის სულს ვერ ჩაჰკლავს დროებითი შეცდომები, რომ მისი ბუნება [illegible] რომ ჟღერსის. გედის და ბებელის ხმები სამშობლოს განსაცდელის შესახებ ბოლოს მაინც ყრუდ არ დარჩა ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილისათვის, და ეს ანალიზი, წარსულის თვალის გადავლება სრულიად არ უშლის ხელს ამ ჯგუფთა შორის სრულ თანხმობის განმტკიცებას, უმაღლეს ჰარმონიის შექმნას.

ასე იქცევა ნამდვილი, გულწრფელი და მებრძოლი ინტელიგენცია საქართველოს განკითხვის ჟამს, ასე იქცევა იგი, როცა თოფის ქვეშ სდგას.

მაგრამ „ერთობი"-ს ზოგიერთი ყოვლად უნიჭო და ფანატიზმით ტვინ გამოშრალი [illegible] სამშობლოს" ეწევა ს.-ფედერალისტების გინებით. „უკვდავი" თავისის ღვარძლიანობით და დოგმატიზმით ქუჩური ლანძღვა „ძირს დაშვებულის დინგის" სათაურით საუკეთესო დოკუმენტია საამისოდ.

მაგრამ ჩვენ ვნუგეშობთ იმით, რომ ბრძოლის ველზე, სადაც უნდა გადაწყდეს ჩვენი ერის ბედი, (და არა ერთობის რედაქციაში საბედნიეროდ) სულ სხვა სულიერი განწყობილებაა და ის გულწრფელი შენანიება, რომელიც ზევით დიალოგში დავინახეთ, საუკეთესო საწინდარია ამ ჯგუფის მასსიურ გამოფხიზლების.

საბედნიეროდ ბრძოლის ატმოსფერაში არა სჩანს ასეთი იაფ ფასიანი და უმსგავსო სპეკულიაცია-ერთობის და სამშობლოს ჩაწიხვლა პარტიის დახავსებულ დოგმის გადასარჩენად, და საკმარისია „ერთობის" ამ უბადრუკმა „პუბლიცისტმა" რედაქციის დამტვერეული მაგიდა დასტოვეს, ხალხში ჩაერიოს, თვისივე ამხანაგები ნახოს და მათი გულის თქმა მოისმინოს, რომ საშინლად გაწითლდეს, თუ კიდევ შერჩენია სირცხვილს სინათლე; ჩვენ მას გულწრფელად ვუსურვებდით თავის არაკის გმირზე მეტი შორს-ჭვრეტა ჰქონდეს ერთი წუთით მაინც, რომ ეს იდუმალი დიალოგი როგორმე მანაც მოისმინოს და იხილოს.

აქ. პ—ვა.

# როდემდის უნდა გაგრძელდეს თავხედობა?

ლეჩხუმის ამბების შესახებ ჩვენ აშკარად გამოვსთქვით ჩვენი აზრი. საჭიროა რევოლიუციონური დისციპლინა, სასტიკად დასჯა ყველა დამნაშავეს საზოგადოდ და ყოველთვის, მაგრამ ყოვლად უაზროდ მივიჩნიეთ ქუთაისის გუბერნიის კომისარის—კაჩუხაშვილის ბრძანებები. ამის გამო „ერთობა" აი რასა სწერს ჩვენს შესახებ: **ჩვენს ნაციონალისტებს მხოლოდ რევოლიუციურ მთავრობის დაგმობა და სახელის გატეხა აქვთ მიზნად ამ განზრახვას ემსახურებიან"-ო.**

ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ გაზეთის ასეთ გამოლაშქრებას აშკარა პროვოკაციული ხასიათი აქვს და ხელოვნურად ამწვავებს მდგომარეობას ჩვენსა და სოც.-დემ. პარტიის შორის. ნუ თუ გაზეთმა არ იცის, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შეიარაღებული სამხედრო რაზმი ქუთაისის გვარდიასთან გვერდში სისხლს ღვრიდა რევოლიუციონურ წესიერების აღდგენისათვის, ნუ თუ „ერთობამ" არ იცის, რომ ტფილისშიაც და ყველგან სოციალისტ ფედერალისტთა რაზმები

# პოლიტიკური მდგომარეობა

ჩვენი მუდმივი მოთხოვნილება როგორც პროგრამული მოთხოვნილება ის იყო, რომ ცხოვრებაში გატარებულიყო ფედერატიული პრინციპი და საქართველოს თვითმმართველობა, როგორც საფუძველი ამიერკავკასიის ფედერაციისა. სოციალ-დემოკრატები პრინციპიალურად ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდნენ ფედერალისტურ აზრებს და სწორედ ასით უნდა აიხსნას ის სასტიკი ბრძოლა რომელსაც ეს პარტია მრავალი წლის განმავლობაში უსარგებლოდ და უნაყოფოდ აწარმოებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წინააღმდეგ მიუხედავად ამ ბრძოლისა, რუსეთში ფედერალისტურმა პრინციპმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და აქ ჩვენშიაც, ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც ხსნა მხოლოდ ფედერალიზმის ფაქტიურ განხორციელებაში იქნება. სწორედ ამ მდგომარეობის წყალობით, სოციალ-დემოკრატებიც ცოტა სხვანაირი კილოთი ლაპარაკობენ ფედერაციისა და ავტონომიის შესახებ და როგორც ამიერკავკასიის ტერიტორიალური გადამიჯვნა, ისე ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველი ერთეულების შექმნა საჭიროდ მიაჩნიათ. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატები მაინც განაგრძობენ თავიანთ ძველებურ კამპანიას სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ და განაგრძობენ იმავე საშუალებით, რომლითაც წინათ იბრძოდნენ—დემაგოგიით. ვერც ისტორიულმა გაკვეთილმა, ვერც საქართველოს საშინელმა განსაცდელმა ისინი ვერ მოარჯულა და მთელ თავის ძალ-ღონეს ანდომებენ ჩვენთან ბრძოლას, თითქოს მორიგი საკითხი ეს იყოს და არა საქართველოს დაცვა გარეშე მტრისაგან.

უკანასკნელ ხანებში სოციალ-დემოკრატიული პრესა პრინციპიალურად აღარ ებრძვის არც ფედერაციის და არც საქართველოს თვითმმართველობას. სჩანს მას ტაქტიკურის მოსაზრებით შეუძლებლად მიაჩნია საქართველოს დროებითი მთავრობის გამოცხადება და საქართველოს ტერიტორიაზე მთელი ძალა-უფლების გადაცემა საქართველოს მთავრობის ხელში. მართლაც, თუ სოციალ-დემოკრატების ქართულ-რუსულ პრესას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ უმთავრესი საბუთი, რომლის გამოც სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგნი არიან საქართველოს მთავრობის გამოცხადებისა, არის სურვილი ამიერკავკასიის **დემოკრატიული ფრონტის მთლიანობის დაცვისა.** სოციალ-დემოკრატები, ამ დემოკრატიულ ფრონტს არსებულად სთვლიან და ჩვენს პარტიას კი ახლა ამ ფრონტის დამრღვევლად სთვლიან. საუბედუროდ სოციალ-დემოკრატებს თავიანთი ფანტაზიის ნაყოფი სინამდვილედ ეჩვენებათ და ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფრონტს ხედავენ იქ, სადაც ასეთი ფრონტი არც არსებობს და არც იარსებებს იმ დრომდე, სანამ ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლება არსებული წეს წყობილება ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფრონტის საუკეთესო გამომხატველად სოციალ დემოკრატებს სეიმი მიაჩნიათ და კიდეც გაჰკივიან ყოველ გზა ჯვარედინზე, ვინც სეიმის წინააღმდეგია, ის დემოკრატიული ფრონტის მთლიანობის წინააღმდეგიც არისო. მაგრამ არის თუ არა ამიერკავკასიის სეიმი ამიერკავკასიის დემოკრატიული ფრონტის მთლიანობის გამომხატველი? სოციალ-დემოკრატს კარლო ჩხეიძეს მარჯვნით „მუსსავათი"-ს წარმომადგენელი უზის და მარცხნით დაშნაკცაკანების წარმომადგენელი, აი ის ტრიუმვირატი, რომელიც სეიმის დემოკრატიულ ძალთა განწყობილების საუკეთესო გამომხატველად უნდა ჩაითვალოს. გვიხსნას ერთი სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, „მუსსავათი" და „დაშნაკცუტუნი" არის თუ არა საკმარისი და უტყუარი გარანტია ამიერკავკასიის დემოკრატიული ფრონტის მთლიანობისა? ჩვენ გვგონია, რომ „მუსსავათი"-სა და „დაშნაკცუტუნი"-ს ფოლადის კლანჭებში ჩავარდნილი სოციალ-დემოკრატიული პარტია მაინც და მაინც დემოკრატიულ გუნებაზე არ უნდა იყოს და ძალიან კარგად უნდა ჰგრძნობდეს, რომ ამ ტრიუმვირატში ყველაზე ნაკლებად დემოკრატიზმია განხორციელებული.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და რომლის შედეგებსაც, ჩვენ ამაში ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, ძალიან მალე იწვნევს უპირველესად ყოვლისა თვით სოციალ-დემოკრატიული პარტია. დღიდან ამიერ კავკასიის გაერთიანებისა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ჩვენი ქვეყანა დაუსრულებელი ჰეგემონიის განსამტკიცებელ სარბიელად გადაიქცა. ამიერ კავკასიის ადმინისტრატიული მთლიანობა ხან ერთი ერის ჰეგემონიის განმტკიცების საშუალებას ჰქონდა, ხან მეორისას. ძველი რეჟიმის დროს სომხის პლუტოკრატია ის რეალური ძალა იყო, რომელიც ამიერ კავკასიის ადმინისტრატიულ მთლიანობას ებღაუჭებოდა და ამ მთლიანობის საშუალებით სომხის ბურჟუაზიისა და პლუტოკრატიის ჰეგემონიას ამტკიცებდა. ვორონცოვ-დაშკოვის დროს სომხის ბურჟუაზიის ჰეგემონია გამარჯვების უმაღლეს წერტილამდე მივიდა. სადამდის მიგვიყვანდა ეს ჰეგემონია, ჩვენ არ ვიცით, რევოლუციას რომ არ ეფეთქა და ბურჟუაზია საზოგადოდ და სომხის ბურჟუაზია კერძოდ პოლიტიკური სარბიელიდან არ გაერიყა.

სოციალ დემოკრატიული პარტია ამ ბურჟუაზიულ-ნაციონალური ჰეგემონიის ტენდენციებს უპირისპირებდა ინტერნაციონალური დემოკრატიის ჰეგემონიის აზრს. მაგრამ ყალბად წამოყენებული ინტერნაციონალიზმი მარცხით დამთავრდა, რადგანაც სოციალ-დემოკრატებმა ინტერნაციონალური მოძრაობა მხოლოდ საქართველოში განამტკიცეს, ამიერ კავკასიის დანარჩენ ადგილებში კი რანაირი მიმართულება მიიღო მოძრაობამ, ეს სხვათა შორის იმ პოლიტიკური ეფექტიდანაც სჩანს, რომელმაც სეიმში ჰპოვა განსახიერება. ამ ჟამად ფაქტად უნდა იქმნას აღიარებული, რომ არსებითად ქართულ სოციალ-დემოკრატიას უხდება თანამშრომლობა არა სომხის და მაჰმადიანთა დემოკრატიასთან, არამედ ერთის მხრით „დაშნაკცუტუნთან", რომელსაც ძალიან კარგად იცნობს ჩვენი ქვეყანა და მეორეს მხრით კი „მუსსავათის", რომელიც ახლად გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და რომელიც, შექმნილი სიტუაციის წყალობით, ამიერკავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონიის განმტკიცებას მოისურვებს. პრინციპი საყოველთაო საარჩევნო სისტემისა საშუალებას აძლევს რიცხვით უმრავლესს მაჰმადიანობას ისეთი პოზიცია დაიჭიროს ამიერ კავკასიის სეიმში, რომელიც ფაქტიურად „მუსსავათი"-ს ჰეგემონიად გადაიქცევა. თუ დღეს სოციალ-დემოკრატებს ჯერ კიდევ ანგარიშს უწევენ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს ერთგვარი [illegible] ეროვნულ ნეიტრალობისა. ცხოვრება, რომელიც თავისი გზით მიდის, ხშირად შორდება დეკლარაციულ განცხადებებს, იქ იკვანძება ნამდვილი ძალთა განწყობილება და სრულიად ახალს გეზს აძლევს პოლიტიკურ განვითარებას. აი სწორედ ცხოვრების ამ გულის სიღრმეში იყურება საფუძველი მაჰმადიანური ელემენტის ჰეგემონიისა და იყურება საფუძველი სწორედ ამიერ კავკასიის სეიმის წყალობით. ჩვენ სრულიად არაფერი არა გვაქვს საწინააღმდეგო იმისა რომ ამიერ კავკასიის მაჰმადიანობა ეროვნულად თვითგამოირკვეს და თავისი პოზიციები დაიჭიროს. პირიქით, რამდენადაც მეტად თვით-გამოირკვევა ეროვნულად ამიერ კავკასიის მაჰმადიანობა, იმდენად გაადვილდება ნამდვილი ინტერნაციონალური სოლიდარობის დამყარება ამიერ კავკასიაში. მაგრამ ვერც ერთი ქართველი ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ ამიერ კავკასიის მაჰმადიანთა ეროვნული თვით-გამორკვევა გამოიხატოს ამიერ კავკასიაში მაჰმადიანების ჰეგემონიის განმტკიცებაში. ეს კი ფატალური აუცილებლობაა. ასე მოჰხდება, თუ საქართველოს დროებითი მთავრობა არ გამოცხადდა და მთელი ძალა-უფლება საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის ხელში არ გადავიდა. ამიერ კავკასიის მაჰმადიანობას, როგორც ამიერ კავკასიის სხვა ერებს არავითარი საბუთი არა აქვთ რაიმე სთქვან ამის წინააღმდეგ. საქართველოს აქვს სურვილი თვითმმართველი ერთეულის შექმნისა, ეს არც ჩვენთვის, არც ჩვენი მეზობლებისთვის უკვე საიდუმლოებას არ შეადგენს და ამიტომ ეს საერთო სურვილი მალე საქმით უნდა დაგვირგვინდეს—უნდა შეიქმნას საქართველოს დროებითი მთავრობა, რომელიც მხოლოდ მომავალი დამფუძნებელი კრების წინაშე იქნება პასუხისმგებელი.

თუ რამდენად მთლიანია ის ფრონტი, რომელიც ამიერ კავკასიის სეიმში დამყარდა, სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ ე. გეგეჭკორმა დღემდის ვერ მოახერხა მთავრობის შედგენა. ჩვენ არ ვიცით რა ჰხდება გეგეჭკორის კაბინეტში, არ ვიცით, ვისთან რანაირი მოლაპარაკება აქვს, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ მან დღემდის მთავრობის შედგენა ვერ მოახერხა, ძალიან კარგად მოწმობს, რანაირი ხასიათისაა სეიმის წყალობით დამყარებული დემოკრატიული ფრონტი.

ნამდვილი დემოკრატიული ფრონტის მთლიანობა მხოლოდ სოციალ-დემოკრატების თავში არსებობს, ფაქტიურად კი ამიერ-კავკასიაში ხდება ტერიტორიალური გადამიჯვნა და გადამიჯვნის ამ პროცესში საქართველო ტერიტორიას ტერიტორიაზე ჰკარგავს. ხომ უნდა გამოირკვეს ერთხელ მაინც, რომელია ხელშეუხებელი ტერიტორია საქართველოსი, ხომ უნდა გაიგოს ყველამ, რომ არის საზღვარი, რომლის იქითაც გადამიჯვნა საქართველოზე მუხანათურ თავდასხმად უნდა ჩაითვალოს? დიახ, ყოველივე ეს საჭიროა, რომ ამ უდიდესი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის ნაცვლად ჩვენი მთავრობის პარტია პოლიტიკურ ჩხირკედელაობას განაგრძობს და ბრაზმორეული ჩვენს პარტიაზე იყრის ჯავრს უკბილო ბებერივით.

ან რას უნდა მოველოდეთ იმ პარტიისაგან, რომელიც დღესაც კი ისწ

[illegible]ან საზოგადოებრივ-რევოლიუციო[illegible]ასიერებას, მხოლოდ ფრონტებ[illegible], თავგანწირულ რაზმებს ვგზავ[illegible] რევოლიუციის და სამშობლოს [illegible]კავად?

გაზეთმა ყოველივე ეს იცის, მაგრამ მალავს! დაე დამალოს, მაგრამ ვისთვის რა საჭიროა პროვოკაცია, რომ ჩვენ სახელს უტეხთ რევოლიუციონურ მთავრობას და სხ.? ამავე დროს აღვნუსხავთ შემდეგს. ქალაქ ქუთაისში ყველა სოციალისტური პარტია აუღელვებია ტფილისის მილიციის ყოფილ უფროსის—კაჩუხაშვილის ბრძანებას და შემდგარა ლეჩხუმის მაზრის ამბების გამოსარკვევად და მდგომარეობის შესამსუბუქებლად რევოლიუციონური ინტერპარტიული კომისია, რომელშიც შევიდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლიუციონერები და სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები), მენშევიკები განზე გამდგარან. გვითხრას „ერთობამ", ვინ ულალატა ამ რევოლიუციონურ კომისიის მუშაობას? ვინ დაარღვია რევოლიუციონურ პარტიათა გონივრული ნაბიჯი?—თვით მენშევიკებმა დ ტფილისიდან უნებლიეთ გასულმა კ ჩუხაშვილმა. კომისია უნდობლობას უცხადებს კაჩუხაშვილს და ეს ადმინისტრატორი მენშევიკების ლოცვა-კურთხევით ისევ თავის პოსტზეა და იმავე მენშევიკების გაზეთი ტფილისში, რომლის ამხანაგები სოციალისტურ პარტიების კომისიას გამოეყვნენ—ჩვენ გვისაყვედურებენ რევოლიუციონურ მთავრობის სახელის გატეხას, ნუ თუ ყველასათვის აშკარა არ არის, რომ მენშევიკები მართლა სახელს უტეხენ რევოლიუციონურ მთავრობას?

მებრძოლი.

## ეროვნული საბჭო და ტფილისის ქართველი ვაჭრები

თითქმის ოთხი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც შესდგა საქართველოს ეროვნული საბჭო. 19 ნოემბერი 1917 წ. დაუვიწყარი დღე იქნება ქართველი კაცის გულში, მახსოვს და არ დამავიწყდება, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ დღეს ყველა—ინტელიგენტი, სოფლის მუშა გლეხი, ვაჭარი, ქალაქის მუშა, განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა.

რა შედეგი მოიტანა ამ ერთსულოვანმა აღფრთოვანებამ ამ ოთხი თვის განმავლობაში? ამისი პასუხი არც ისე ადვილია, როგორც ბევრს ჰგონია, მაგრამ შესაძლებელია ზოგადად მაინც აღვნიშნოთ შემდეგი.

ამ ოთხი თვის განმავლობაში პოლიტიკური პირობები საზოგადოთ მთელს რუსეთში და კერძოთ ამიერკავკასიაში ათასნაირად შეიცვალა. თითქმის მოულოდნელ რთულ პირობებში მოუხდა მუშაობა ეროვნულ საბჭოს.

19 ნოემბრის საისტორიო ეროვნულ კრებამ დიდი საპასუხისმგებლო საქმე დააკისრა თავის ეროვნულ საბჭოს და ამ მძიმე უღელის აღებისთანავე სრულიად შეიცვალა მთელი რუსეთის პოლიტიკური პირობები და, აი, სწორედ ამ პირობების გამო ეროვნულ საბჭოს საქმეები ერთი-ათად გართულდნენ. გარეშე პირობებს დაემატა ჩვენებური მეტიჩრობა, შენ ჩემეობა და უადგილო და უდროო ვითომ და თავმოყვარეობა. ერთსულოვნობის მაგივრად დაიწყო ჩვენებური კრიტიკა და განკიცხვა საბჭოს თვითგამოურკვევლობაზე. ამ აჩბანურ ჭეშმარიტებაზე—თვითგამოურკვევლობაზე—რომელიც ყველასათვის სინამდვილე იყო, შეიქნა არა სასურველი კინკლაობა და ამ კინკლაობამ, რომელსაც არავითარი, ჩვენის აზრით, მნიშვნელობა არა აქვს, ბევრს შეუგნებელ წრეზე არა სასურველი გავლენა იქონია. სწორედ ამ დროს, როდესაც ეროვნულ საბჭოს ესაჭიროებოდა ყოველნაირი მორალური და ნივთიერი დახმარება, შეუგნებელი წრეები რაღაც ინდიფერენტიზმით გაიძსჭვალნენ და განზე გაუდგნენ ეროვნულ საბჭოს.

რასაკვირველია ამ განზე გადგომით ეროვნული საბჭო არ დამარცხდება და თავის უფლებას და ძალას ის თავის დროზე მაინც გამოიჩენს და მაშინ საპასუხოდ მოიწვევს იმ წრეებს, რომელნიც მას განზე გაუდგნენ.

განზე გამდგარ წრეთ მიგვაჩნია ჩვენ დღეს ტფილისის ქართველი ვაჭრები, რომელნიც ერთობ გულცივად ეპყრობიან ეროვნულ საბჭოს და ის-კი ვერ შეუგნიათ, თუ რა ძალას წარმოადგენს დღესაც-კი ჩვენი ეროვნული საბჭო.

ნუ თუ ტფილისის ქართველ ვაჭრებს არ ესმით, რომ მათ ნიადაგი აქვთ მხოლოდ ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში და თუ ამ „ჩვენში" ისინი არ გამოიჩენენ ეროვნულ გრძნობას, მაშ ვინღა და რანი არიან იგინი? ნუ თუ მათ დაავიწყდათ, ვინ იყვნენ გუშინ და ვინ არიან დღეს? ნუ თუ მათ დაავიწყდათ, სად მოიპოვეს მათ თავისი სიმდიდრე?

ნუ თუ მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ დღევანდელი სამშობლოს განსაცდელი ეხება მათ სიმდიდრესაც და მათ ყოფა-ცხოვრებას?

ვაჭრებო, დაუკვირდით საქმეს, შეხედეთ პირდაპირ სამშობლოს განსაცდელს და ყოველ დილას თქვენს თავს ჰკითხეთ:

„აბა მე დღეს ვის რა ვარგე?"
სამშობლოსთვის რა გადავდე?

ნაცნობი.

ძველებური ჰანგებით მღერის და სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევს შექმნილ მდგომარეობას! ბათომი იმ სიტყვად გადაიქცა, რომელმაც ფეხზე დააყენა მთელი შეგნებული ქართველობა. და აი, იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხის აღფრთოვანებას ველოდით, როდესაც გვეგონა, რომ ეს საბედისწერო მომენტი მაინც გამოაფხიზლებდა სოციალდემოკრატებს და მოქმედების გზას შეაცვლევინებდა, მათ ერთის მხრით ჩვენ აგვიტეხეს ბრძოლა და მეორეს მხრით განაცხადეს, ბათომი იმიტომ უნდა დავიცვათ, რომ ის სოციალდემოკრატების აკვანია. ბათომის დაცვა რომ მხოლოდ ამ მოსაზრების ძალით იყოს საჭირო, მაშინ იქნება უფრო უკეთესი აკვნები მოვძებნოთ სოციალდემოკრატებისა და ბათომისთვისაც არ დაგვჭირდეს თავის განწირვა. სოციალდემოკრატია ისეთი მარგალიტია, რომელიც ცოტცოტად ევროპის ყველა ქალაქში მოიპოვება.

უფრო მჭერმეტყველური გამოხატულება მისცა ამ დახავსებულ აზროვნებას სოციალდემოკრატების ლიდერმა ირაკლი წერეთელმა სალდათებისა და მუშების დეპუტატების საბჭოში. წერეთლისთვის ის ტრაგედია, რომელიც ამ ჟამად ამიერკავკასიას თავს დაატყდა, მხოლოდ სრულიად რუსეთის რევოლიუციის ეპიზოდი ყოფილა, არც მეტი, არც ნაკლები. პეტროგრადში დამარცხებული წერეთელი აქ აპირებს ანგარიშების გასწორებას. უფრო საყურადღებოა, როგორ უცქერის ი. წერეთელი ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დამოკიდებულებას. „თუ ჩვენ მოვახერხეთ და მოვიგერიეთ პირველი იერიში ოსმალეთისა, ეს გამარჯვება შეიძლება რუსეთის დემოკრატიის გაღვიძების სტიმულად გადა-

იქცეს. ის თავის შეცდომებს დაინახავს, დაინახავს მიზეზს თავის დამარცხებისას და გადაიქცევა მისი აღორძინების მიზეზად".

როგორც ჰხედავთ, მთელმა საქართველომ, მთელმა ქართველმა ერმა თავი უნდა გასწიროს მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი დაიხსნას განსაცდელისაგან. რა აქვს საერთო ამ აზროვნებას ყველაფერ იმასთან, რაც დღეს ჩვენს გარშემო ჰხდება? ეს ამოძახილია რუსეთის ნანგრევებში დამარცხებული პოლიტიკური მიცვალებულისა, რომელსაც იმდენი ძალა კიდევ შერჩენია, რომ აჩრდილად მოევლინოს ჩვენს ქვეყანას.

ჩვენ არა გვგონია ამ პოლიტიკურმა აჩრდილმა რაიმე პრაქტიკულ შედეგს მიაღწიოს, მაგრამ ის მაინც სიმპტომატიურია, რომ მაშინ, როდესაც სოციალდემოკრატიული პარტია სამშობლოს დაცვას მოითხოვს და მზად არის ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაც კი გამოაცხადოს, მისი ლიდერი წერეთელი ლამობს ქართველი ხალხი ისევ მსხვერპლად შესწიროს რუსეთის დანგრეულ სახელმწიფოს.

საქართველომ უნდა გაიმარჯვოს მხოლოდ არა იმისთვის, რომ პეტროგრადისა და რუსეთის მონად დარჩეს, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ განამტკიცოს თავისუფალი ცხოვრება.

ჩვენთვის სულ ერთია, ვინ იქნება საქართველოს ბატონი—რუსეთი თუ ოსმალეთი. საქართველო თავისუფალი უნდა იყოს და თავისუფლად დაუკავშირდეს მას, ვისთანაც საჭიროდ დაინახავს დაკავშირებას...

არ. ჯაჯანაშვილი

## უკანასკნელი ცნობები

**ბათომის ფლოტი.** როგორც ბათომიდან გვ ტყობინებენ დატყვევებულ კრეისერზე და ტრანსპორტებზე აღმოუჩენიათ 60 ათასი ვინტოვკა თავის ტყვია წამლით, ხოლო დატუსაღებულ მეზღვაურთ აღმოსჩენიათ მილიონამდე ფული.

**ოსმალთა შემოტევა.** ტფილისში მიღებულ ცნობების მიხედვით ოსმალთა მოწინავე რაზმებს გადმოულახავთ 1914 წლის სახელმწიფო საზღვარი და უახლოვდება სარიყამიშს.

**გამოქცეულთათვის.** ტფილისის ქალაქის გამგეობა აუწყებს სარიყამიშის, ბათომის, ფოთის, ახალსენაკის, სამტრედიის და ერევნის თვითმართველობათ, რომ გამოქცეულები არ მოვიდნენ ტფილისში, ვინაიდან ტფილისში არც ბინა იშოვება და არც სურსათი.

### პეტროგრადი.

პეტროგრადიდან ტფილისში გენერ. შტაბის ოფიცერთა ჯგუფი ჩამოვიდა. გზაში ისინი 2 კვირა იყვნენ. მათი გადმოცემით, პეტროგრადის აღება გერმანელების მიერ მათ მოსკოვში გაიგეს. უკანასკნელ ხანებში პეტროგრადში ბოლშევიკებმა საგრძნობლად შესცვალეს თავისი პოლიტიკის გეზი: საუცხოვო წესი დაამყარეს, შესწყდა ინტელიგენტების დევნა, ღამით ცარცვა-რბევა. ინტელიგენტების მუდმივი დევნის ნაცვლად, ბოლშევიკები დიდ მოწიწებას იჩენენ მათდამი. იყო შემთხვევები, რომ წერილობით მოიწვიეს ინტელიგენტები სამსახურში. სამინისტროები თან და თან შეუდგნენ თავის მუშაობას. მოსამსახურეთა კავშირი დაიშალა. ჩამოსულთა აზრით, ისე საგრძნობლად შეიცვალა ბოლშევიკების პოლიტიკის კურსი, რომ მათ კიდევ 5 წელს მაინც შეეძლოთ არსებობა. მთავარ-სარდალი კრილენკო გადააყენეს.

### ლებედინსკის ბრძანება.

თავარ სარდალმა გენერალ მაიორმა ლებედინსკიმ 4 მარტს გასცა შემდეგი ბრძანება. მე დიდად კმაყოფილი ვარ პოდპოლკ. ეფრემოვის მიერ შედგენილ რაზმის ოფიცრების მოქმედებით. ეს რაზმი შედგენილია ეფრემოვისგან ტფილისში, განსაკუთრებით შესდგება ოფიცრებისაგან, ტფილისიდან რაზმი გაემგზავრა ფრონტზე სარაყამიშში. ამგვარი რაზმი პოდპოლკ. დავ. კლდიაშვილისა იმყოფება ბათომში, რომელიც ცუდ პირობებში ასრულებს თავის სამსახურს. მხურვალე მადლობას ვწირავ სახელოვან ოფიცრებს; დაუხედავად ყველა დამცირების და შეურაცყოფის, რომლის გა ატანა მოუხდათ მათ უკანასკნელ ხანებში, როდესაც განიცდიდნენ მძიმე წუთებს და ხედავდნენ მომავალ უბედურებას, მათ შესძლეს თავის ინტერესების დავიწყება საზოგადო ინტერესებისთვის ისევ მიუბრუნდნენ თავის სამშობლოს დაცვას. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ სამშობლო დააფასებს თავის ერთგულ შვილების თავგანწირულებას და ღირსეულ მადლობასაც უძღვნის მათ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, პოდპოლკ. ეფრემოვის და კლდიაშვილის რაზმების ოფიცრებო.

### სელიმის აღება.

ოსმალებმა აიღეს სელიმი (ბათომის ოლქი).

**შავი ზღვის ფლოტის ცენტრალური კომიტეტის ბრძანება 4 მარტიდან** თანახმად სახალხო კომისარების საბჭოს დეკრეტისა, სამხედრო მეზღვაურები, რომელნიც სამხედრო სამსახურიდან 1914 წ. უნდა განეთავისუფლებინათ ეხლა თავისუფალნი არიან. ამხანაგებო, როგორც სახალხო კომისარების დეკრეტი გვეუბნება, თქვენ თავისუფალნი ხართ, ყველას, ვისაც სურს შეუძლიან დაბრუნდეს სახლში, რადგან ახალი ფლოტი უარჰყოფს ყოველგვარ ძალადამტ ნებელ მთავრობას. და თუ დათხოვნილნი მეზღვაურები არ არიან საჭირო ფლოტისთვის შტატის შემცირების გამო, ეს იმას არ ნაშნავს, რომ ისინი არ არიან საჭირო რესპუბლიკასა და რევოლიუციისათვის და ამის გამო შეუძლიათ თავისუფლად დაუბრუნდნენ მშვიდობიან მუშაობას. არა, სანამ სახლში დაბრუნდებოდნენ ყველა თქვენგანმა უნდა მიმართოს თავის სინიდისს და ვალს და დაფიქრდეს—საჭიროა თუ არა ის ბრძოლაში დასავლეთიდან მომავალ კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებთან და თუ თქვენ სახლისკენ არ გიწვევთ რაიმე უკიდურესი მდგომარეობა, მაშინ დარჩით და ჩაეწერენით რევოლიუციონურ ჯარსა და წითელ რაზმში.

## ქართული მელოდიები

საქართველო ყვავილდება, ყვავდება ივერია,
სოლომონ და ბერი საბა ქრისტე აღსდგას მღერიან,
საააძის სალაშქროდ ხმალი დაუფერია,
საქართველო ყვავილდება, ყვავდება ივერია.
ვინ დაითვლის ქართველ გმირებს, რაინდებიც ბევრია,
და მამულის სიყვარულით ყველა დანათვერია,
სოლომონ და ბერი საბა ქრისტე აღსდგას მღერიან,
საქართველო ყვავილდება, ყვავდება ივერია.

მეტეხისკენ წამოვიდა სააკაძე ჯარითა,
საბა ბერი მოაცილებს ლოცვითა და ჯვარითა
და რაინდი მოკაზმული შუბით, ფარ-აბჯარითა
მალე მეტეხს ააფეთქებს სააკაძე ჯარითა.
ამღერდება ბუკ-წინწილა საამური ქნარითა
და შეარხევს საქართველოს განახლების ქარითა.

გეშინოდეს სულეიმან! არ დაგლუპოს ტფილისმა!
მოერიდე ქართველ მონებს, არ მოგტაცონ თილისმა,
თორემ თმენის ყვავილები გულში მონაგროვები
გადახმენ და საქართველოს ვერ მოსპობენ დროები,
რადგან ქართველ ერის გულში გრძნობა ღვივის ფარული:
კვლავ აერთებს საქართველოს მამულის სიყვარული
და ქართველი რაინდებიც „ქრისტე აღსდგას" მღერიან,
საქართველო ყვავილდება, ყვავდება ივერია.

ხიმონ შევლი.

## ვლ. გობეჩიას ბრძანება.

ბათომის ციხის წითელ რაზმელებო, ჯარისკაცებო და ოფიცრებო!

ეს, ეს არის გავიგე თქვენი სახელოვანი სიმამაცის ამბები აჯანყებულ მეზღვაურების იარაღის აყრისა და მათი დატუსაღების დროს და ეს ჩემში უზომო სიხარულსა და აღფრთოვანებას იწვევს.

დიდება თქვენ! თქვენ მოუღეთ ბოლო სამარცხვინო და საზიზღარ საქმეებს. მეზღვაურთა ნაწილი ამიეფარა ბოლშევიკების ლოზუნგებს და არასაიმედო, შეშლილ ადამიანების ბრბო, რომელიც სისტემატიურად ირყვნებოდა მათი „იდეური" წინამძღოლების წყალობით, შიშის ზარსა სცემდა შავი ზღვის სანაპიროებს.

მათ დახვრიტეს თავისი ოფიცრები და ხელი მიჰყვეს რბევასა და ძალადობას.

დაჰკარგეს რა ადამიანური სახე, ისინი დაემგვანენ მხეცებს და იქამდე მივიდნენ, რომ კრეისერ „მეფე კარლოსის" კომანდამ გემის საორთქლო მილში დასწვა ოფიცერი ემუხვარი.

დაჰკარგეს რა სინიდისი და პატიოსნება, მათ განიზრახეს სამარი გემები მტრისთვის მიეყიდნათ.

თქვენი მამაცობის, მედგრობის და მხნეობის წყალობით, საუკუნოდ იმარხება ძველი, მეფური არმია. ყაზარმულის სულით გაჟღენთილი და სულისშემხუთავ სამხედრო დისციპლინის კლანჭებში აღზრდილი, არმია, რომლის დანიშნულებას მეფისა და მისი დამკაშების სამსახური შეადგენდა.

ბათომის ციხის წითელ-რაზმელებო და ჯარისკაცნო! თქვენ დაგვანახვეთ, რომ საკვირველებანიც შესაძლებელია მაშინ, როდესაც არმია თავის ძალას თავის მოვალეობის ღრმა შეგნებაში ჰკრებს, რევოლიუციისა და სამშობლოს წინაშე დადებულ მოვალეობის შეგნებაში.

მოვალეობის შეგნება საკმაო დიდი მანძილით ჰყოფს ყოფილი მეფის მონებს თავისუფალ ჯარისკაცის—მოქალაქისაგან, რომელიც მტკიცე ფუძე უნდა იყოს რევოლიუციისა და მის მონაპოვართა.

თქვენ, რომელნიც მჭიდრო კავშირს გრძნობთ მცხოვრებლებთან, საფუძველი შეიქენით ახალი, სახალხო უფლებისა და ახალ სახალხო წესიერებისა და ქვეყნის ინტერესების დაცვისა გარეშე და შინაურ მტრებისაგან.

თქვენ, თავდადებულო მუშაკნო, რომელთა მხრებს მძიმე სამუშაოს გაწევა მოუხდა, ულრმეს მადლობას გიცხადებთ ამიერკავკასიის მთავრობის სახელით.

სამშობლო არ დაივიწყებს თქვენს შრომას, რომელიც თქვენ დასდევით მას ამ მძიმე წუთებში.

სამხედრო და საზღვაო საქმეების კომისარი ვლ. გობეჩია

## ახალი ამბავი

**გენერალი გედევანიშვილი.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ბათომის ციხის დაცვის საქმის გამძღოლად დაინიშნა გენერალი გედევანიშვილი.

**ნ. ჟორდანია და გენ. გაბაშვილი,** რომელნიც ამას წინად ბათომს გაემგზავრნენ იქაურ ამბების გამო, უკვე დაბრუნდნენ ტფილისში გუშინ დილის 9 საათზე საგანგებო მატარებლით.

**ქართული ენა საზებით ინსტიტუტში.** საოლქო საექიმო სასანიტარო საბჭოს პრეზიდიუმი აუწყებს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ 26 თებერვლის სხდომაზე თანახმად საზებიო ინსტიტუტის ქართველ მოწაფეთა თხოვნისა, გადაწყვეტილ იქნა 1918—1919 წლ. თეორიის სწავლება ქართულ ენაზე.

**სოციალისტ-ფედერალისტთა ახალი სამხედრო რაზმი ბათომის დასაცავ**ად. სიღნაღის მაზრიდან და დუშეთიდან ჩამოსულ სოციალისტ-ფედერალისტთა რაზმიდან 200 კაცი პარტიის მთავარ კომიტეტის განკარგულებით იგზავნება ბათომის დასაცავად. რაზმს სწრთვნის პარტიის სამხედრო ინსტრუქტორები. ამ რაზმს გარდა ბათომისათვის პარტია ამზადებს მორიგ რაზმს.

**† ვანო მჭედლიშვილის გარდაცვალება.** გუშინ, თავის მოვალეობის ასრულების დროს გაცივების გამო მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი პარტიის რაზმელი, ჩვენი გაზეთის მეტრანპაჟად ნამყოფი ივანე (ვანო) მჭედლიშვილი.

**აზრუმის ბრძოლაში დაჭრილნი.** ტფილისში მოვიდა ერთი ჯგუფი არზრუმის ბრძოლაში დაჭრილთა. უმეტესობა ოფიცრებია. ჯარის კაცები არზრუმში თოფს სროლის ხმაზე გაიფანტნენ. წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს მხოლოდ ოფიცრებმა და ჯარის კაცების მცირე ნაწილმა.

**საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის** გამოცხადების წლის თავის—ზეიმის მომწყობი კომისია ამით აცხადებს, რომ დღეთ ამ ზეიმის მოწყობისა, ამა მარტის 12 ნაცვლად, დანიშნულია კვირა—ამავე მარტის 11 რიცხვი.

ამ დღეს მცხეთის სვეტის-ცხოვლის ტაძარში შესრულდება მღვდელ მთავრის წირვა—დასაწყისი დილის 10 ს.—სია საგანგებო მატარებლებისა, თუ ეს მატარებლები დანიშნულ იქნა, ცალკე გამოცხადდება.

**სროლა ხარფუხში.** მეხუთე უბანში, ეგრედ წოდებულ ხარფუხში ყოველ ღამ საშინელი სროლაა, ისვრიან წარამარად. ადგილობრივ მცხოვრებს კი შიშის ზარსა ჰგვრის ასეთი პანიკა და ამიტომაც არის, რომ დაბინდება თუ არა ყოველი სახლიც ბინდდება: აქრობენ ლამფებს, უძ ლოდ ათენებენ ღამეს და ქუჩებშიც ხომ საათის ექვსიდან ადამიანის ჭაჭანება აღარ არის. ხარფუხი უპატრონოა. საჭიროა ზომები.

**„მოლიპულ გზაზე".** 10 მარტს წარმოდგენილი იქნება ქართულ კლუბის სცენაზე ვ. გარრიკის გადმოკეთებული პიესა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან „მოლიპულ გზაზე". მონაწილეობენ: ნ. გვარაძე, ნ. დავითაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, ვ. მატარაძე, ვ. ბარველი. ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. ფანგიშვილი, მ. სარაული, ა. კავთელი—ა. ივერიელი. პიესასდასდგამს ვ. გარრიკი.

დღეს, 8 მარტს ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე (ანასტასიევის ქ. 22.) სალამოს 5 ს. დანიშნულია ტფილისის ქართველ ქალთა სანიტარული რაზმის საზოგადო კრება. ყველა მსურველთ ქართველ ქალებს ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ და ნურც დაიგვიანებენ. რაზმში ჩაწერა შეიძლება ყოველ, დღე 10—2 ს. ლორდკიფანიძისა ჩერქეზიშვილის ქ. 70 (служба сборовъ.)

გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ სდგება ხაგზნებო ქართული ბატალიონი [illegible] განკარგულება [illegible] ბატალიონში [illegible] გვარი [illegible] ცნობის მიღება შეუძლია პრაპ. ესაკიასთან: ტფილისი, გუდოვიჩის ქუჩა, ლაზარეთი № 50.

## სოფლად და ქალაქად

### გორი

კვირას, 11 მარტს, დილის 11 საათზე ქ. გორში უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში მოხდება ჩვეულებრივი საზოგადო კრება გორის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრებისა.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, სალამოს ექვს საათზე პარტიის პოლიტიკურს კლუბში (ლორის-მელიქოვის ქუჩა) აუცილებლივ უნდა გამოცხადდეს ყველა ოფიცერი პარტიის წევრი.

სამხედრო ორგანიზაცია.

—

პროვინციელ პარტიულ ორგანიზაციათა საყურადღებოდ პარტიის სამხედრო ორგანიზაცია აცხადებს: დაუყონებლივ აცნობონ სამხედრო ორგანიზაციას რიცხვი შეიარაღებულ რაზმელებისა რომელნიც შეიძლება გაიგზავნონ ბათომში, წასასვლელად დაემზადონ კიდეც და ელოდონ სამხედრო ორგანიზაციის განკარგულებას.

სამხედრო ორგანიზაცია.

—

დღეს, 5 ნახევ. საათზე, „სახალხო საქმის" რედაქციაში დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება. განსახილველია დიდად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმეები დასწრება სავალდებულოა.

## † ს. ცაგარელი

ბათომის უკანასკნელმა ამბებმა იმსხვერპლა ს. ცაგარელი, რომლის გვარიც შეცდომით იყო დაბეჭდილი გაზეთში ცაგარეიშვილად. განსვენებული მე გავიცანი ტრაპიზონში ანარქიის უკანასკნელ დღეებში. როდესაც ჯარი ფრონტიდან ძოიხსნა, განსვენებულის ერთად-ერთ საზრუნავ საგნად იყო გადაქცეული ქართველების შეკავშირება და სამშობლოში გამოგზავნა. განსვენებულს ჩემს ოთახში ჰქონდა ბინა და ძალიან ხშირად გაგვიზიარებია ერთმანეთისთვის ჩვენი სულიერი განცდა იმ საშინელი განსაწირობის გამო, რომელიც ჩვენს ჯარსაც ეჩხეოდა. განსვენებული დაუღალავად მუშაობდა. ტრაპიზონს თითქმის ყოველ დღე მოდიოდა ჯარი და განსვენებული ხან ერთს ნაწილს ეხეთქებოდა, ხან მეორეს, რომ ქართველები როგორმე შეეკავშირებინა. მაგრამ ვერც მიტინგებმა და ვერც აგიტაციამ ვერაფერი გასჭრა და ქართული ერთეული შედგენა ტრაპიზონში ვეღარ შესდგა. ტრაპიზონიდან წამოსვლის შემდეგ მოდიოდა ცნობები, რომ ცაგარელი განაგრძობდა მუშაობას, მძიმე და პასუხსაგებ მუშაობას. და აი, კიდეც დამთავრდა მისი ხანმოკლე სიცოცხლე. იგი მსხვერპლად შეეწირა საყვარელ სამშობლოს, რომლის უბედურებითაც ისე ძალიან იყო გულმოკლული განსვენებული. ხან-მოკლე იყო ჩვენი ნაცნობობა მაგრამ ამ ხან-მოკლე ნაცნობობის დროსაც გულ წრფელად დავუახლოვდით ერთმანეთს. განსვენებული რწმენით სოციალ-დემოკრატი იყო, „ალიონისტი", მაგრამ თავისი გულ წრფელი, ხალისიანი, გულ ახდილი ხასიათით ყველას გულს ინადირებდა და იმეგობრებდა.

მშვიდობით, ძვირფასო სვიმონ! დაე შენი სისხლი განწმენდის სისხლად გადაიქცეს იმ ჯარის-კაცებისთვის, რომელთაც გატაცებით უმტკიცებდი სამშობლოს თავ დაცვის საჭიროებას.

არ. ჯაჯანაშვილი.

## ვინ ჰბადებს ანარქიას ჩვენში?

(წერილი დუშეთიდან).

ჩვენი მაზრა ანარქიის ცეცხლში ჯერ არ გახვეულა. ეს სიწყნარე რასაკვირველია არ არის გარანტია მისა,

რომ ჩქარა უბედურება აქაც არ გვეწვევა. ჯერედ ჩუმი, მაგრამ სამართლიანი პროტესტი აქ-იქ სოფლებში უკვე გაისმის მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ. ხალხი შეგნებულად სთხოვს ამ მთავრობას ანგარიშს ერთი წლის უნიადაგო მოღვაწეობისა, ხალხმა გაიგო, რომ ეს მთავრობა, ე. ი. მენშევიკების პარტია, ამ ხნის განმავლობაში მარტოოდენ არჩევნების კენჭებს აგროვებდა და თბილ ადგილებზე ყოვლად გამოუსადეგარ, ხშირად მავნე წევრებს ჰნიშნავდა.

დიახ, მენშევიკებს წაუხდათ ანგარიში, შეერყათ სამეფო ტახტი. მაგრამ განდიდების მანიით გატაცებულებმა მენშევიკ კლიმიაშვილმა და ძმებმა მისმა, მეტადრე მის სანჩო-პანჩო ტ. შუბიაშვილმა პირველში ჩამოყარეს ყურები, შემდეგ კი რათა აღედგინათ თვისი წამხდარი პრესტიჟი—მიჰმართეს ათასგვარ საზიზღარ და ყოვლად დასაგმობ საშუალებებს.

მაზრის კომისარი მ. კლიმიაშვილი დიდი ხანია დეზერტირად გადაიქცა და თავის ამალის ერთი ნაწილით სადღაც გადაიყლაპა. ჩვენ გვიკვირდა მათი ასეთი უცნაური საქციელი, თურმე-კი აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული.

როდესაც დუშეთში ქართველ ჯარის კაცებმა სამხედრო საწყობების ცარცვა დაიწყეს, დუშეთის წითელ გვარდიის წარმომადგენელმა, რაზმის უფროსმა პორ. ნამორაძემ და ალ. ცაგარელმა მიჰმართეს მაზრის კომისრის თანაშემწე ლ. მამულაშვილს და განუცხადეს, რომ რაზმი მზად არის ჯარის კაცების წინააღმდეგ რადიკალური ზომების მისაღებად. კომისარმა ყური მოიყრუა. ასეთივე წინადადებით მიჰმართა მასვე ჩვენი პარტიულ ორგანიზაციის კომიტეტმა. ბოლოს თითქო დაგვეთანხმდა და გვთხოვა მოვილაპარაკოთო, მაგრამ საიდუმლოდ ტფილისში მყოფ კლიმიაშვილთან ჰქონდა საქმე და ჩვენ მხოლოდ ხელოვნურად გვაბანდებდა. ამავ დროს ვხედავდით, როგორ იტაცებდნენ ჯარის ქონებას და ჩვენის ინიციატივით, რადგან რაზმის უმრავლესობა ჩვენი ამხანაგებისგან შესდგება, ადგილობრივმა წითელმა რაზმმა მიიღო ყველა ზომები და სამშაბათს 20 თებერვალს მთელი ღამე იჭერდა ნაცარცვ-ნაქურდალს და აგროვებდა ჩვენი ბიუროს ოთახებში, ოთხშაბათს უფრო მტკიცედ დაირაზმა ადგილობრივი გვარდია და ქალაქში ჩამოაგდო სრული სიმშვიდე, საქმე იქამდისაც მივიდა, რომ ამავე საღამოს ქართველ ჯარის-კაცებს გადაეწყვიტათ საწყობები წითელ რაზმისთვის გადაეცათ.

მაგრამ გათენდა მეორე დილა და მოულოდნელად დუშეთში გაჩნდა ტფილისის მენშევიკების გვარდია. მათ დაუხვდათ ადგილობრივი რაზმი და მცირე სროლის შემდეგ ჯარის კაცებს აჰყარეს იარაღი.

„ერთობის“ კორესპ. მ. შათირიშვილს კი, რომ ჰკითხოთ დიდი გმირობა ჩაიდინა ტფილისის წითელმა გვარდიამ. ნამდვილად კი არავითარი საჭიროება არ იყო მათი აქ ამოსვლა. კლიმიაშვილს თავის გავლენის აღსადგენად ესაჭიროებოდა „რეალური ძალა,“ იგი ეძებდა მიზეზს და შეისრულა კიდეც გულისწადილი.

სწორედ სასაცილოა დუშეთელ მკითხველისთვის, როდესაც მ. კლიმიაშვილის გმირობაზე წაიკითხავს მ. შათირიშვილის კორესპონდენციას. „იგი შევიდა უშიშრად დუშეთშიო“. ერთი მიბრძანეთ რა იყო საშიში აქ, ვინ დაუხვდა ჩვენში ამ ერთი წლის რევოლიუციის ხანაში, სრულებით არავინ. რატომ? იმიტომ, რომ დუშეთში ყოველთვის ძლიერი იყო ჩვენი გავლენა და თქვენ დამღუპველ პოლიტიკას (მოიგონეთ შ. ჯავახიშვილის პროვოკაცია ქართველ-სომეხთა შორის) არ მისდევდა და არც ოდესმე გაჰყვება ჩვენი კუთხის ცოცხალი და რევოლიუციონური ნაწილი. აქამდე არც მაზრაში ჰქონია ადგილი ანარქიას. თუ ამ ბოლო დროს სოფელში დაიწყო მოძრაობა ბოლშევიზმის სახით—ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ აგრარულ ნიადაგზე. ხალხი წყნარად, უშფოთველად თხოულობს ახლავე მას, რაც მენშევიკების მთავრობამ ვერ მისცა. ხალხს უნდა მიწა და თავისუფლება. მენშევიკების დამღუპველ ტაქტიკის წყალობით ვერც ერთი მიიღო და ვერც მეორე. მიწის საკითხი გადაუჭრელი დარჩა და ზავი, რომელიც ესაჭიროებოდა დაღლილ-დაქანცულ ხალხს და რომელიც არის ფარი თავისუფლებისა, ამიერკავკასიის კომისარიატის წყალობით დღეს განუხორციელებელ ოცნებად გადაგვექცა.

ყველა ამის წყალობით ხალხმა მენშევიკებს უნდობლობა გამოუცხადა. „ერთობის“ კორესპონდენტს კი მოჰლანდებია, რომ ჩვენი სოფლები აკლებულია და არიქა მენშევიკების აიაზმა ვაპკუროთო.

ტფილისის რაზმის ამოსვლამ მხოლოდ გაამწვავა მდგომარეობა და რაც მან გააკეთა, ყველა ამის შესრულება შეეძლო ადგილობრივ ძალებს, ოღონდ მაზრის კომისარიატს არ ეთამაშნა ორჭოფული როლი და ნება მიეცა თვითონ მიეღოთ ზომები ცარცვა-გლეჯის წინააღმდეგ.

ჩვენ გვეგონა, რომ მოსული მენშევიკების გვარდია იმუშავებს ჩვენთან კონტაქტით, მაგრამ ძლიერ მოვტყუვდით. ჩვენ ახლოც არ გაგვიკარეს. დაიწყეს ჩურჩულ-კურკური და ერთს დილას მალულად მთელი თავისი რაზმი წაიყვანეს ს. ბაზალეთში. ვითომდა „საშველად“ ხალხმა გაიგო მათი სიფილიდე და შესაფერისადაც დაუხვდა. გადმოვიდნენ შერცხვენილები დუშეთში და უცბად გამოაცხადეს მიტინგი. ცოტაოდენი ხალხი ჩამოსულიყო სოფლიდან, მოაგროვეს ესენი და დაიწყო მენშევიკების „დიდებული მიტინგი“. ჩვენ განცვიფრებულებმა მივმართეთ მენშევიკებს და უთხარით, რატომ არ გინდათ საერთოდ გამოვიმუშავოდ მაზრის ბედ-ბედის მოწყობის საქმეო, ისინი თუმცა ჯერ უარს არ გვეუბნებოდნენ, მაგრამ შეთანხმების მაგივრად დაიწყეს ჩვენზე იერიშების მიტანა. დაიბარეს ადგილობრივ წითელ გვარდიის უფროსი პორ. ნამორაძე და გამოუცხადეს, რომ ამიერიდან თქვენ აღარ გვესაჭიროებითო და ჯამაგირსაც ვერ მიიღებთო.

მოსთხოვეს ერთი საათის განმავლობაში ავტომობილის და 10 ც. ბერდანკების მათთვის გადაცემა. (ეს უკანასკნელი გვარდიამ ჩამოართვა ვინმე პრახასკას). თვალების ასახვევად, ჩვენი ამხანაგები აარჩიეს რაღაც საგამომძიებლო და საინვენტარო კომისიებში, მაგრამ მთელი ძალა-უფლება ხელში თვითონ ჩაიგდეს და ბევრი ისეთი რამ ჩაიდინეს, რაც ყოველ პატიოსან კაცში სინდისის ქენჯნას გამოიწვევს. ამავე დღეს დაიბარეს რაზმის ათის თავები, დაიწყეს მათთან საზიზღარი პროვოკაცია და ცდილობდნენ დაეშალათ ადგილობრივი რაზმი. აი ასე იქცევიან ყოველთვის ყველა ჯურის მენშევიკები.

ამის შემდეგ შათირიშვილს უკვირს, რომ დუშეთში ყველაფერი რიგზე არ არის და თურმე კი ყველაფერი ეს „ფედერალისტების“ ბრალი ყოფილა. განა თავმოყვარე კლიმიაშვილი მოისვენებდა, რომ ჩვენ ამხანაგებს რაიმე საქმე გაეკეთებინათ ხალხის საკეთილდღეოთ. განა მენშევიკები მოინელებდნენ, რომ ჩვენ შევსულიყავით რევოლიუციონურ ორგანოებში და ჩვენი სახით გვემუშავნა? განა ცოდვაი არ მოერია კლიმიაშვილს, როცა ჩვენ ამ ორგანოებში დავიწყეთ მუშაობა? თქვენ კი გმირს ეძახით მას, საზოგადოებას კიდევ ასმენთ, რომ ის სოც.-ფედერალისტებს დაეჩაგრათ. არ იცით ის, რომ კლიმიაშვილი ჯერ ხულიგან რუსის პრაპორშჩიკების სკოლის ხიშტებით გვებრძოდა და ამავე დროს მაზრა მოჰფინა უხეირო, ხალხისთვის მავნე, პროპაგანდისტებით. თქვენ არ ჰმალავთ, რომ თვითონ „ერთი“ მილიციონერი აღმოჩნდა სამხედრო საწყობის მცარცველად, ჩვენ კი ვიცით, რომ კომისარიატის დამცველები თითქმის ყველა მონაწილეობას იღებდა ცარცვაში, ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებენ ის ნივთები, რომლებიც მათ დუშელ წითელ გვარდიელებმა წაართვეს. ესეც ჩვენი ბრალია? კარგად არ გაგიცვნიათ დუშეთის ცხოვრება და ყველაფერს ჩვენ გვაბრალებთ. ხომ იცით, რომ ჩვენი პარტია დღემდი არა-ლეგალურია მენშევიკების წყალობით და აი როცა ხელოვნურად ჩამოთესლილები თქვენი ამხანაგები აიბარგებიან აქედან, მაშინ დაიწყება ნაყოფიერი მუშაობაც. რა ჩვენი ბრალია თუ თქვენ ვერ მოგინელებიათ ჩვენი სიძლიერე დუშეთში.

გლეხების შეუწყნარებლობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს იმედიც გაცრუვდებათ. სჯობია აიღოთ გუდა-ნაბადი და საიდანაც მოსულხართ, ისევ იქით წაბრძანდეთ. ჩვენი კუთხე აქამდე მშვიდათ იყო და თქვენი პოლიტიკოსები კი წყალს ამღვრევენ. ყველგან არევ-დარევა გელანდებოდათ და ნამდვილად კი არევ-დარევა თქვენს აზროვნებაში ხდება. ხალხი თქვენ აღარ გენდობათ და თქვენ კი ძალით უნდა მოახვიოთ თავზე თქვენი დამღუპველი პოლიტიკა. თქვენ ბოლშევიკებს უკიჟინებთ ძალ-მომრეობას და თქვენ კი ნებსით თუ უნებლიეთ ანარქია შეგაქვთ ჩვენს სოფელში.

არყალელი

## მოწერილი ამბები.

**ხ. მოლითი.** 23 თებ. 1918 წელს მოხდა კრება მოლითის საკრედიტო ამხანაგობისა. განსახილველი საკითხები იყო: მოხსენება გამგეობისა წლიური ანგარიშის შესახებ, მოგების განაწილება, არჩევა ერთი გამგეობის და საბჭოს წევრისა, ნაცვლად გასულისა, წევრებზე მისაცემ სესხის გადიდება და სხვა მიმდინარე საკითხი.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვანო ჩხეიძე.

გამგეობის თავმჯდომარემ ისონ მხატრიშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში, საიდანაც სჩანს:

პირველ იანვრისთვის 1918 წ. ამხანაგობას ყავს 223 წევრი, 19600 მ. 1 იანვრისთვის 1917 წ. ამხანაგობას ქონია: სესხად აღებული ბანკის 3000 მ. მობარებული სხ. და სხ. პირების, 800 მ. წმინდა მოგება, 127 მ. 10 კ. გარდამავალი თანხა 5 მან. 1 იანვრისთვის ამა წლისა: აღებული სესხად ბანკისაგან 6000 მან. მობარებული შესანახათ სხ. და სხ. პირებისაგან 18225 მან. გარდამ. თანხა 335 მან. წმინდა მოგება 1917 წ. განმავლობაში დარჩენილია 1197 მან. 75 კაპ. სულ 29689 მან. 85 კ.

—ამხანაგობას გაუსტუმრებია: სესხი ბანკის 6000 მან. და პროც, შესანახად შემოტანილი ფულის 5 მან., გაცემული სესხათ სხ. და სხ. პირებზე 20632 მ. 77 კ. ინვენტარი 368 მ., და ნაღდი ფული კასაში 2684 მ. 8 კ., სულ 29689 მ. 85 კ.

მოხსენებული ანგარიში კრებამ ერთხმად დაამტკიცა და წმინდა მოგება 1197 მ. 75 კ., გაანაწილა შემდეგნაირად: ძირითად თანხად 191 მ. 63 კ., სათადარიგო თანხად 191 მან., 63 კ., საშუამავლო ოპერაციისთვის 95 მ. 84 კ., ქართულ უნივერსიტეტს 150 მან., ეროვნულ საბჭოს 50 მ., ბეჟითუბნის საზოგადოებას 58 მ. 65 კაპ., ადგილობრივ პარტ. ორგანიზაციებს—სოც. ფედ. 25 მან., და სოც.-დემ. 25 მან, და გამგეობას ჯილდოთ 360 მან.

კენჭით გასულ წევრების გამგ. ისონ მხატრიშვილის და საბჭოს წევრ. აბრამიშვილის მაგიერ კრებამ აირჩია იგინივე, და დანარჩენი შემადგენლობა უცვლელად დასტოვა. ამ რიგად გამგეობაში არიან: ისონ მხატრიშვილი (თავმჯდომარე), ზოსიმე გვილესიანი (კასირი) და ვანო ყიფიანი (ანგარიშის მწარმოებელი). საბჭოში: ნიკოლოზ ჯინჭარაძე (თავმჯდომარე), ლევან ლაცაბიძე და ვლადიმერ აბრამიშვილი. ამხანაგობის მიერ მიცემული წევრებზე სესხის მაქსიმ. 200 მან. მაგიერ კრებამ გახადა 500 მ.

და ბოლოს კრებამ ერთხმად დიდი მადლობა გამოუცხადა გამგეობას ენერგიული მოქმედებისათვის.

ჩამორჩენილი.

გამომცემელი
ხახუტა ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ავადმყოფები—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ზ. გ. აგახაროვი: $9\,^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ე ქ ი მ ი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ე ქ ი მ ი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ე ქ ი მ ი
ნ. გ. მრევლიშვილი
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიოდ საშვილოსნო ავადმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ე ქ ი მ ი
კ. ტყეშელაშვილი
ღიბღლოვის ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ე ქ ი მ ი
ი. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ე ქ ი მ ი
ს. ზ. მირზოევი
[illegible] ქ. № 1. ტელ. 16—87. 1009

ე ქ ი მ ი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ე ქ ი მ ი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და ხიხვლის კლინიკებისა. სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „მომონდის“ პირდაპირ. 1029

ქ კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მ ა ჩ ა ბ ე ლ ი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეჩხნური ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ე ქ ი მ ი
თ ი კ ა ნ ა ძ ე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ე ქ ი მ ი
გ. ზ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს დილის 6—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა მისამართი: [illegible] მთავრის ქ. № 67 [illegible] 1030

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეჭრაზიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვისა—ელექტრ გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით, დიდი სოლიუქსიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისთვის, პნევმოთორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ე ქ ი მ ი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდი, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ე ქ ი მ ი
ვ. მუსხელიშვ[illegible]
[illegible]

ე ქ ი მ ი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათ[illegible] დე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელ[illegible] 14—09. 103[illegible]

მასწავლებელთა წიგნის გამომცემლობა
„განათლება“
(ქუთაისში)
ამზადებს ყოველგვარ სახელმძღვანელოს ქართულ სასწავლებელთათვის.
დღემდე დაიბეჭდა:
1 სილ. ხუნდაძე—ქართული გრამატიკა.
2 „ „ მოკლე გრამატიკა.
3 იას. ნიკოლაიშვილი—ქართული გრამატიკა.
4 „გუთანი“ ქართული ენის სახელმძღვან., შედგ. ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ.
5 ქართული ანბანი, შედგ. მათივე.
6 სილ. ხუნდაძე—ქართ. ლიტერ. სახელმძღვანელო—გრ. ორბელიანი.
7 „ „ ვახტ. ორბელიანი.
8 გ. ცაგერეიშვილი, დ. ქუთათელაძე და შ. სანიკიძე—გეოგრაფია ნაწ. I.
9 ს. იაშვილი—გეოგრაფია, ნაწ. III. „ევროპა“.
10 დ. უზნაძე—ძველი საბერძნეთის ისტორია.
11 სიმ. ოცხელი—ელემენტარული გეომეტრია.
12 „ „ „ ალგებრა.
13 ა. ჯაფარიძე—არითმეტიკული კრებული გიმნ. I კლ. კურსი.
14 ს. დათეშიძე „ „ II „ „
15 ა. მგალობლიშვილი „ „ III „ „
16 ნ. შარაშიძე—ქართ. სიმღერები, ნოტებზე გადაღებული (სახელმძღვანელო)
ამ ჟამად იბეჭდება:
17 ივ. ჯავახიშვილი—ქართველი ერის ისტორია ნაწ. I.
18 ალ. წერეთელი—მსოფლიო (საზოგადო) ისტორია.
19 ს. შარაძენიძე და ნ. ცვანაძე—ალგებრულ ამოცანათა კრებული.
20 ს. შარაძენიძე—ტრიგონომეტრია.
21 ა. ჩხენკელი—ბოტანიკის სახელმძღვანელო (ანატ. და მორფოლ.)
22 მასწავ. ჯგუფის მიერ შედგენილი ქართული ქრისტომატია, I კლ. კურსი
23 მათივე, ქართული ქრისტომატია, II კლ. კურსი.
24 „ „ „ III „ „
25 „ „ „ IV „ „
26 მ. ჩინჩალაძე—ლათინური გრამატიკა.
27 ნიკ. გოგიტიძე—გეომეტრიულ ამოცანათა კრებული.
28 დეკ. ი. აბესაძე—ღვთის მსახურება. მოკლე სახელმძღვანელო.
29 დეკ. ი. აბესაძე, სამ. ყიფიანი და ი. კრიახიძე—ძველი აღთქმა.
30 „ „ „ „ ახალი აღთქმა.
31 რ. ხუციშვილი და დ. პარკაძე—არითმეტიკული კრებული, I კლ. კურსი
32 დ. ქუთათელაძე—ბუნებისმეტყველება. ცხოველები და ადამიანი.
33 ქართული ენის წერილობითი სავარჯიშონი. ხუთი წლის კურსი, მასწ. ჯგუფის მიერ შედგენილი.
მზადდება დასაბეჭდათ:
34 ალ. ჯანელიძე—ფიზიკა (საშუალო სასწავლ.).
35 ს. ოცხელი და ა. ნიჟარაძე—ფიზიკა (უმაღლ. დაწყ. სასწავლ.)
36 ა. ჩხენკელი—ბუნების მეტყველება. სახალხო სკოლათათვის.
37 ა. ნიჟარაძე—ბუნების მეტყველება, (უმაღლეს დაწყებით სასწ ვლ.)
38 დ. უზნაძე—ძველი რომის ისტორია.
39 ა. წერეთელი და ტ. ხუნდაძე საშუალო საუკ. ისტორია.
40 „ „ ახალი ისტორია.
41 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II ნაწ.
42 „ვეფხის ტყაოსანი“ ვუკოლ ბერიძის რედაქტორობით.
43 ს. ხუნდაძე—ქართ. ლიტერ. სახელმძღ.—რაფ. ერისთავი.
44. ნ. გოგიტიძე ტრიგონომეტრია.
45 რ. ხუციშვილი და დ. პარაკაძე, არითმ. კრებული II და III კლ. კურსი.
46 კ. ძოძუაშვილი. კოსმოგრაფია (თარგმანი).
47 გ. ცაგერეიშვილი—გეოგრაფი ნაწ II (აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია)
48 კ. ჯორჯიკია—ფრანგ ენის გრამატიკა.
49 კ. ჯორჯიკია და ა. თორაძე—გერმანული ენის სახელმძღვანელო.
50 გ. სვანიძე და მ. შავარდენაძე—გერმანული ენის სახელმძღვანელო.
მისამართი: ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, ზაქ. მაჭავარიანის სახლი. 1096

„სახალხო საქმი“-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:
ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. 3 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I . 4 „
გრდემლი წ. I . 3 „
ქართველი მწერლები. 2 „
უცხოეთის „ . 2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა“. — 60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე“. 1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“. — 40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“. — 50 „
წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ
წვრილ სასტამბო საქმეებს
სუფთად, იაფად და თავის
დროზე

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14.